საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №009

2023 წლის 20 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გავლის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 26 აგვისტოს №040 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გავლის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 26 აგვისტოს №040 ბრძანებით (ვებგვერდი, 27/08/2020, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.70.082.016053) განსაზღვრული საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გავლის წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების (სააპლიკაციო ფორმა) მიღება და რეგისტრაცია წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან ორი კვირის ვადაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური
პროკურორი **ირაკლი შოთაძე**